

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი
შპს ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი

მ ე ღ ე ა ა მ ა შ უ კ ე ლ ი

კვლის მინერალური სიმკვრივის ცვლილებათა თავისებურებები
შარისებრი ჯირკვლის დაავადებების დროს

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
მედიცინაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ელენე გიორგაძე



2012 წ

სარჩევნი

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები	3
შესავალი	4
თავი 1: ლიტერატურის მიმოხილვა	
1.1 ოსტეოპოროზის ეპიდემიოლოგია, პათოგენეზი, კლასიფიკაცია, რისკის ფაქტორები, კლინიკური სურათი	8
1.2 თირეოიდული ჰორმონების მოქმედება ძვალზე. მანიფესტირებული და სუბკლინიკური თირეოტიქსიკოზის, ჰიპოთირეოზის გავლენა ძვლოვან სისტემაზე	16
1.3 მოტეხილობის 10-წლიანი რისკის განსაზღვრის ალგორითმი და ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები	21
1.4 ოსტეოპოროზის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები	28
თავი 2: კვლევის მეთოდები	31
თავი 3: კლინიკური მასალის დახასიათება	34
თავი 4: კვლევის შედეგები	
4.1 ძვლის მინერალური სიმკვრივის ცვლილებათა თავისებურებები დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის დროს პოსტმენოპაუზური და რეპროდუქციული ასაკის ქალებში	36
4.2. ძვლის მინერალური სიმკვრივის ცვლილებათა თავისებურებები პირველადი ჰიპოთირეოზის დროს პოსტმენოპაუზური და რეპროდუქციული ასაკის ქალებში	47
თავი 5: კვლევის შედეგების განხილვა	53
თავი 6: დასკვნები	59
ბამოყენებულ ლიტერატურის სია	61

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები

1. დტბ – დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვი
2. თტ – თირეოტოქსიკოზი
3. სმი – სხეულის მასის ინდექსი
4. ძმს – ძვლის მინერალური სიმკვრივე (BMD)
5. ძმშ – ძვლის მინერალური შემადგენლობა (BMC)
6. პპთ – პირველადი ჰიპოთირეოზი
7. antiTPO - ანტისხეულები თირეოიდული პეროქსიდაზას მიმართ
8. antiTSHr – ანტისხეულები თირეოტროპული ჰორმონის რეცეპტორის მიმართ
9. BUA – ულტრაბგერის მილევალობა
10. DXA – ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრია
11. ER – ესტროგენული რეცეპტორი
12. FRAX – მოტეხილობის 10 წლიანი რისკის განსაზღვრის ალგორითმი
13. OPG – ოსტეოპროტეგერინი
14. RANK – ოსტეოკლასტების ბირთვული ფაქტორი კაპპა B-ს (NF-kB) რეცეპტორული აქტივატორი
15. RANKL – RANK –ის ლიგანდი
16. SOS – ულტრაბგერის გავლის სიჩქარე
17. SERMs – სელექტიური ესტროგენის რეცეპტორის მოდულატორები
18. TNF α – სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი α
19. TSH – თირეოტროპული ჰორმონი
20. T3 – ტრიიოდთირონინი
21. T4 – ტეტრაიოდთიროქსინი
22. TR – თირეოიდული ჰორმონის რეცეპტორი

შესავალი

პრობლემის აქტუალობა

ოსტეოპოროზი არის ძვლების სისტემური დაავადება, რომლის გამოვლინებები – ძვლოვანი ქსოვილის მასის შემცირება და მისი მიკროარქიტექტონიკის დარღვევა, განაპირობებენ ძვლის სიმტკიცის დაქვეითებას და მოტეხილობის რისკის გაზრდას [31]. დადგენილია, რომ პოსტმენოპაუზური ასაკის ქალების 30%-ს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში აღენიშნება ოსტეოპოროზი [166,167]; დაავადებულთაგან ქალების მინიმუმ 40% [99] და მამაკაცების 15-30%-ს აღენიშნება ოსტეოპოროზული მოტეხილობა [117], რაც იმას ნიშნავს, რომ ორიდან ერთ ქალს და რვიდან ერთ ასაკოვან მამაკაცს აქვთ ოსტეოპოროზული მოტეხილობის განვითარების ალბათობა სიცოცხლის განმავლობაში. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ოსტეოპოროზი ქალებში ისეთივე აქტუალურია, როგორც გულის იშემიური დაავადება და უფრო მეტად გავრცელებული, ვიდრე ძუძუს კიბო (დაახლ 12 %) [107,111]. პოპულაციის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა განაპირობებს ოსტეოპოროზის გავრცელების მკვეთრ მატებას [120].

ოსტეოპოროზი კლინიკურად ვლინდება მოტეხილობებით. ჩვეულებრივ ვითარდება ხერხემლის, ბარძაყის, წინამხრის დისტალური და მხრის ძვლის პროქსიმალური ნაწილის ოსტეოპოროზული მოტეხილობები [72]. 2000 წელს, ევროპაში 50 წელზე უფროსი ასაკის ქალებსა და მამაკაცებში დარეგისტრირდა ბარძაყის ძვლის მოტეხილობის 620,000, წინამხრის – 574,000, მხრის ძვლის პროქსიმალური ნაწილის – 250,000 და ხერხემლის ძვლების – 620,000 ახალი შემთხვევა. ამ მოტეხილობებმა შეადგინეს მთელი მსოფლიოს მოტეხილობების 34,8% [72]. გარდა აღნიშნულისა, შესაძლოა განვითარდეს სხვა მიდამოების – მენჯის ძვლების, ნეკნების, ბარძაყის ძვლის დისტალური ნაწილის და წვივის ძვლის ოსტეოპოროზული მოტეხილობებიც.

თანამედროვე ეტიო-პათოგენეზური კლასიფიკაციით, განასხვავებენ ოსტეოპოროზის პირველად და მეორად ფორმებს. მეორადი ოსტეოპოროზის გამომწვევ ეფაქტორებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდება სტეროიდული ოსტეოპოროზი [2-4]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მაღალი გავრცელების გამო, სავარაუდოდ არანაკლებ აქტუალური უნდა იყოს თირეოიდული ანუ ფარისებრი ჯირკვლის

დაავადებებთან დაკავშირებული ოსტეოპოროზი. ბოლო წლებში ამ საკითხთან დაკავშირებით მთელს მსოფლიოში ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს, კერძოდ, ინტერესის საგანია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების გავლენის მექანიზმი ძვლის მეტაბოლიზმზე; მოტეხილობის რისკი ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა დაავადების დროს; ენდოგენური და ეგზოგენური სუბკლინიკური ჰიპერთირეოზის ზეგავლენა ძვალზე და ა.შ. თუმცა მიღებული შედეგები უმეტესწილად ურთიერთსაწინააღმდეგოა და ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გამოსაკვლევი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისა და ძვლის მეტაბოლიზმის ურთიერთკავშირის ასპექტში.

ჩვენი კვლევის მიზანია ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებსა და ძვლის მინერალურ სიმკვრივეს შორის ურთიერთკავშირის დადგენა; ოსტეოპოროზის და ოსტეოპენიის გავრცელების შესწავლა რეპროდუქციული და პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში, დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვით გამოწვეული თირეოტოქსიკოზის და პირველადი ჰიპოთირეოზის დროს; დაავადების ანამნეზის ხანგრძლივობის, მკურნალობის მეთოდის და ხანგრძლივობის ზეგავლენის დადგენა ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე.

კვლევის პროცესში დასახული ამოცანებია:

1. ძვლის მინერალური სიმკვრივის, ოსტეოპენიისა და ოსტეოპოროზის გავრცელების შესწავლა ქალებში ახლად გამოვლენილი ან მორეციდივე დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვით
2. ძვლის მინერალური სიმკვრივის (ძმს) შეფასება პაციენტებში დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის (დტჩ) კონსერვატიული მკურნალობის ფონზე
3. ძვლის მინერალური სიმკვრივის შესწავლა პაციენტებში დტჩ-ის ოპერაციული მკურნალობის შემდეგ.
4. კორელაციური კავშირების დადგენა თირეოიდულ სტატუსს ანუ თირეოტროპული ჰორმონისა და თირეოტროპული ჰორმონის რეცეპტორის მიმართ ანტისხეულების დონესა (antiTSHr) და ძმს-ს შორის
5. ძვლის მინერალური სიმკვრივის, ოსტეოპენიისა და ოსტეოპოროზის გავრცელების შეფასება პირველადი ჰიპოთირეოზის მქონე ქალებში, პრე- და პოსტმენოპაუზურ ასაკობრივ ჯგუფებში
6. ძმს-ზე პირველადი ჰიპოთირეოზის გავლენის შესწავლა ლევოთიროქსინით ჩანაცვლებითი მკურნალობის დროს, პაციენტების მენოპაუზური სტატუსის და დაავადების ხანგრძლივობის გათვალისწინებით

7. კორელაციური კავშირების დადგენა წელის მალეების და პროქსიმალური ბარძაყის ძმს-სა და პაციენტების ასაკს, მენოპაუზის ხანგრძლივობას, ანამნეზის ხანგრძლივობას, სხეულის მასის ინდექსს შორის (სმი).

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად აფართოებს არსებულ ინფორმაციას ოსტეოპოროზის მიმდინარეობის თავისებურებების შესახებ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების დროს. კერძოდ, გამოვლენილ იქნა ძვლის მინერალური სიმკვრივის დაქვეითება როგორც თირეოტიკოსით, ისე ჰიპოთირეოზით მიმდინარე პათოლოგიების დროს.

პირველად იქნა დადგენილი, რომ პოსტმენოპაუზური ასაკის პაციენტებში თირეოსტატიული მკურნალობის დაწყების შემდეგ უკვე რამდენიმე თვეში ხდება კორტიკალური ძვლის სიმკვრივის აღდგენა, ხოლო ტრაბეკულური ძვლის ნორმალისებისთვის საჭიროა მინიმუმ ერთი წელი.

პირველად იქნა გამოვლენილი მჭიდრო და სარწმუნო კორელაციური ურთიერთკავშირები ანტითირეოტროპული ანტისხეულების დონესა და ბარძაყის ძვლის მინერალურ სიმკვრივეს შორის როგორც კორტიკალურ, ისე ტრაბეკულურ ძვალში, რამაც მოგვცა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ანტისხეულები დამოუკიდებლად ახდენენ ზეგავლენას ძვლოვანი ქსოვილის მეტაბოლიზმზე დტჩ-ის დროს.

პირველად იქნა დადასტურებული, რომ ხანგრძლივად მიმდინარე პირველადი ჰიპოთირეოზის დროს ადექვატური ჩანაცვლებითი თერაპიის ფონზე ქვეითდება ძვლის მინერალური სიმკვრივე პოსტმენოპაუზური ასაკის პაციენტებში. დამატებით რისკის ფაქტორს წარმოადგენს ანამნეზში თირეოტიკოსის არსებობა, რაც დღის წესრიგში აყენებს მკურნალობის კომპლექსში ანტიოსტეოპოროზული პრეპარატების ჩართვას.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების დროს დიაგნოსტიკური კვლევების კომპლექსში აუცილებლად იქნეს ჩართული ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრია, რაც საშუალებას მოგვცემს დროულად გამოვლინდეს ძვლის

მინერალური სიმკვრივის დაქვეითება, დაინიშნოს ანტირეზორბციული მკურნალობა და მოხდეს ოსტეოპოროზული მოტეხილობის პრევენცია.

თირეოტროპული ჰორმონის მიმართ ანტისხეულების მაღალი ტიტრი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ძვლის დაზიანების მგრძობიარე მარკერი დტჩ-ის დროს.

პუბლიკაციები

1. The impact of thyroid diseases on bone metabolism and fracture risk. *Georgian Med News*. 2010 Jul-Aug;(184-185):34-9. თანაავტორები: ე.გიორგაძე, მ.ცაგარელი, ნ.ნოზაძე, ნ.ჯეირანაშვილი
2. Влияние лептина на минеральную плотность кости в пременопаузе и постменопаузе. *Georgian Med News*. 2011 May;(194):47-52. თანაავტორები: შ.შანავა, თ.ზერეკიძე, ქ.ასათიანი
3. The negative correlation between thyrotropin receptor stimulating antibodies and bone mineral density in postmenopausal patients with Graves' disease. *J Invest Med* 2013. თანაავტორები: მ.კორინთელი, თ.ზერეკიძე, ნ.ჯიქურაული, შ.შანავა, მ.ცაგარელი, ე.გიორგაძე

თავი 1: ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 ოსტეოპოროზის ეპიდემიოლოგია, პათოგენეზი, კლასიფიკაცია, რისკის ფაქტორები, კლინიკური სურათი

ოსტეოპოროზი არის დაავადება, რომელიც წლების განმავლობაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს და ხშირად კლინიკურად გამოვლინდება მოტეხილობის განვითარების შემდეგ, რის გამოც ოსტეოპოროზს ხშირად “ჩუმ ეპიდემიას” უწოდებენ [126]. ოსტეოპოროზი, რომელსაც ახასიათებს ძვლის მასის და სიმტკიცის დაქვეითება, ბოლო პერიოდში, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდასთან ერთად, სერიოზულ კლინიკურ პრობლემად იქცა. მე-19 საუკუნეში, სერ ესტლი კუპერმა, გამოჩენილმა ინგლისელმა ქირურგმა აღწერა “ძვლების დამსუბუქება და დარბილება ხანდაზმულ ასაკში, რომელიც ქმნის მოტეხილობის განვითარების წინაპირობას” [32]. ტერმინი “ოსტეოპოროზიც” მოწოდებულ იქნა იმავე პერიოდში იოჰან ლობშტაინის მიერ [128].

პოპულაციის სიცოცხლის ხანგრძლივობის მომატებასთან ერთად, ოსტეოპოროზული მოტეხილობები ავადობის ძირითადი მიზეზი ხდება და საგანგაშო ციფრებს აღწევს. თუკი ბარდაყის ყელის მოტეხილობის სისშირე 1990 წელს შეადგენდა 1,66 მილიონს, 2050 წლისთვის ეს რიცხვი სავარაუდოდ 6,26 მილიონამდე გაიზრდება ანუ 2050 წლისთვის, მსოფლიოში ბარდაყის მოტეხილობის რისკი ქალებში 240%-ით და მამაკაცებში 310%-ით გაიზრდება [58].

ოსტეოპოროზის საერთაშორისო ფონდის მონაცემებით, ბარდაყის, წინამხრის და ხერხემლის ძალების კლინიკურად საყურადღებო მოტეხილობების ჯამური რისკი აღწევს 40%-ს, რაც უტოლდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს [107]. დადგენილია, რომ 45 წლის ასაკის ზევით ქალები ოსტეოპოროზული მოტეხილობების გამო უფრო მეტ დღეებს ატარებენ სტაციონარში, ვიდრე ბევრ სხვა დაავადებასთან, კერძოდ დიაბეტთან, მიოკარდიუმის ინფარქტსა და ძუძუს კიბოსთან დაკავშირებით [111]. ასევე მამაკაცებში, ოსტეოპოროზული მოტეხილობის განვითარების ალბათობა 50 წლის ასაკის ზევით 30%-ს აღწევს, რაც პროსტატის კიბოს რისკს უტოლდება [100].

ბარდაყის მოტეხილობა იწვევს მწვავე ტკივილს, ფუნქციის დარღვევას, სიკვდილობის გაზრდას მოტეხილობიდან პირველ 3-6 თვეში და თითქმის

ყოველთვის მოითხოვს ჰოსპიტალიზაციას. გამოჯანმრთელება ხდება ნელა და ხშირად არასრულად. შედეგად, სიკვდილის შემთხვევების 1%-ზე მეტი გამოწვეულია ბარდაყის ძვლის მოტეხილობით [72]. ვერტებრულმა მოტეხილობებმა შესაძლოა გამოიწვიონ ტკივილი და ფუნქციის დარღვევა, თუმცა შესაძლოა განვითარდნენ უსიმპტომოდაც. ხშირია რეციდივები, რაც დროთა განმავლობაში იწვევს ინვალიდობას. დისტალური სხივის ძვლის მოტეხილობაც იწვევს ტკივილსა და ფუნქციის დროებით მოშლას, თუმცა პროგნოზი კეთილსაიმედოა და სრულად ხდება ფუნქციის აღდგენა [72].

პრობლემის ასეთი აქტუალობის გამო, ბოლო ათწლეულში ძალიან დაიხვეწა ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები, რომლებიც თანდათან ინერგება საქართველოშიც. თუმცა მოსახლეობის ინფორმირებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ მწირია.

პათოგენეზი: 1940 წელს ამერიკელმა ექიმმა ენდოკრინოლოგმა, ფულერ ოლბრაიტმა აღწერა პოსტმენოპაუზური ოსტეოპოროზი და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს პროცესი დაკავშირებული იყო ძვლის წარმოქმნის დარღვევასთან ესტროგენების დეფიციტის ფონზე [12]. დროთა განმავლობაში, ეს კონცეფცია დაიხვეწა და თანამედროვე მიდგომით, ოსტეოპოროზი არის პროცესი, რომელშიც მონაწილეობს მრავალი პათოგენეზური ფაქტორი და საბოლოოდ იწვევს ძვლოვანი მასის კარგვას და ძვლის მიკროარქიტექტურის დარღვევას. გარდა ძვლის მინერალური სიმკვრივისა, ოსტეოპოროზული მოტეხილობის სიხშირეს, განსაკუთრებით ბარდაყის და სხივის ძვლის მიდამოებში, განსაზღვრავს დავარდნის სიხშირე და მიმართულება [120].

ძვალი არის დინამური სისტემა, რომელიც მუდმივ რემოდელირებას განიცდის. ძვლის რეზორბციას ახორციელებენ ოსტეოკლასტები, ხოლო აღდგენას – ოსტეობლასტები. ნორმალურ შემთხვევაში ეს პროცესები ბალანსირებულია [164, 165]. ძვლის რემოდელირების პროცესში ოსტეობლასტები, ოსტეოკლასტები და მათი წინამორბედები ერთმანეთს სხვადასხვა სასიგნალო მოლეკულების საშუალებით უკავშირდებიან. რეზორბციაზე პასუხს აგებენ ოსტეოკლასტები, რომლებიც თავის მხრივ ოსტეობლასტების მიერ სეკრეტირებული ციტოკინების საშუალებით აქტიურდებიან. ოსტეობლასტები გამოიმუშავენ და გამოყოფენ როგორც RANKL-ს, ასევე ოსტეოპროტეგერინს (OPG). RANKL არის ნუკლეარული ფაქტორი-კაპპა B-ს (NF-κB) რეცეპტორული აქტივატორის, RANK-ის ლიგანდი ჰემოპოეტურ უჯრედებში და მისი ფუნქციაა ოსტეოკლასტების დიფერენციაციის გააქტიურება. ოსტეოპროტეგერინი კი არის

აღნიშნული რეცეპტორის კონკურენტული ინჰიბიტორი და ხელს უშლის RANK/RANKL ურთიერთქმედებას, აქედან გამომდინარე, აფერხებს ოსტეოკლასტების დიფერენციაციასა და ცხოველყოფილებას. RANKL/OPG შორის ბალანსის დარღვევა განაპირობებს ოსტეოპოროზის განვითარებას. ძვლის რეზორბციის სტიმულატორები ზრდიან RANKL-ის ექსპრესიას ოსტეობლასტებში, ზოგიერთი ამცირებს OPG-ს ექსპრესიასაც [140]. RANK-RANKL ურთიერთკავშირი წარმოადგენს ოსტეოპოროზის ნებისმიერი პათოგენეზური ფაქტორის საბოლოო მექანიზმს [120]. RANKL-ის ინჰიბიტორები წარმოადგენენ ოსტეოპოროზის სამკურნალო საშუალებათა უახლეს კლასს [118].

ძვლოვანი მასის შემცირება და სიმყიფის მომატება შესაძლოა განვითარდეს, თუ ა) ვერ მიიღწევა ოპტიმალური ძვლის პიკური მასა და სიმტკიცე ზრდის პერიოდში; ბ) გაძლიერებულია ძვლის რეზორბცია, რაც იწვევს ძვლოვანი მასის შემცირებას და მიკროარქიტექტურის დარღვევას; გ) არაადექვატურია ფორმირების ფაზა, რის გამოც ვერ ხერხდება დაკარგული ძვლის ადექვატური აღდგენა [78].

ესტროგენების დეფიციტი კრიტიკულ როლს ასრულებს ოსტეოპოროზის პათოგენეზში, რასაც ადასტურებს ფაქტი, რომ პოსტმენოპაუზურ ქალებს ყველაზე ხშირად უვითარდებათ ოსტეოპოროზი. მორფოლოგიურმა კვლევებმა და ძვლის მეტაბოლიზმის ბიოქიმიური მარკერების განსაზღვრამ გვიჩვენა, რომ მენოპაუზის პერიოდში ჩქარდება ძვლის რემოდელირება, იმატებს როგორც რეზორბციის, ისე ფორმირების მარკერების დონე [39], თუმცა ესტროგენის დეფიციტის პირობებში წამყვან როლს ასრულებს რეზორბციის გაზრდა. ესტროგენების დეფიციტი მონაწილეობს ძვლის კარგვაში ქალებში 70-80 წლის ასაკშიც, რასაც ადასტურებს ფაქტი, რომ ესტროგენებით მკურნალობა სწრაფად ამცირებს ძვლის კარგვას ასეთ პაციენტებში. მოტეხილობის რისკი უკუპროპორციულ კავშირშია ესტროგენის შემცველობასთან პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში [115].

ესტროგენი კრიტიკულ როლს თამაშობს პუბერტატულ პერიოდში, ორივე სქესის მოზარდების ეპიფიზების დახურვაში და არეგულირებს ძვლის ცვლას როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში. სხვათა შორის, ესტროგენი უფრო მეტად განაპირობებს ძვლის რეზორბციის შეფერხებას მამაკაცებში, ვიდრე ანდროგენი, თუმცა სავარაუდოდ ანდროგენიც თამაშობს გარკვეულ როლს [42]. ესტროგენი ასევე აუცილებელია ძვლის პიკური მასის მიღწევისთვის მამაკაცებში. უფრო მეტიც, ჰიპოესტროგენემია მამაკაცებში დაკავშირებულია ოსტეოპოროზთან [150].

ესტროგენი მოქმედებს ორი რეცეპტორის საშუალებით, ესენია: ესტროგენული რეცეპტორი ალფა ($ER\alpha$) და ესტროგენული რეცეპტორი ბეტა ($ER\beta$). დადგენილია, რომ $ER\alpha$ არის ესტროგენების მოქმედების ძირითადი მედიატორი ძვალზე [88].

გარდა პირდაპირი ზემოქმედებისა ძვლის უჯრედებზე, ესტროგენები მოქმედებენ სხვადასხვა ციტოკინებზე, რომლებიც თავის მხრივ არეგულირებენ ოსტეოკლასტების წარმოქმნას და ფუნქციონირებას. ესტროგენების დეფიციტის დროს იზრდება მონოციტების მიერ სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის (TNF) პროდუქცია და ოსტეობლასტური რიგის უჯრედები უფრო მგრძობიარე ხდება ინტერლეიკინ-1-ის (IL-1) ზემოქმედების მიმართ. IL-1 და TNF ასტიმულირებენ სტრომულ უჯრედებს და პრე-ოსტეობლასტებს, ყველა ეს ფაქტორი ასტიმულირებს ოსტეოკლასტების წარმოქმნას და ამცირებს მათ აპოპტოზს. ესტროგენების დეფიციტი ასევე უარყოფითად მოქმედებს ოსტეოპროტეგერინზე [118].

ასაკობრივ ძვლის კარგვაში მონაწილეობენ სხვა ჰორმონებიც. პარათირეოიდული ჰორმონის (PTH) დონე იზრდება ასაკთან ერთად, რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია კალციუმის და D ვიტამინის მიღების დეფიციტსა და დაქვეითებულ კუჭ-ნაწლავისმიერ აბსორბციასთან. მეორადი ჰიპერპარათირეოზი და D ვიტამინის დეფიციტი არა მხოლოდ აჩქარებს ძვლის კარგვას, არამედ არღვევს ნერვ-კუნთოვან ფუნქციებსაც, რაც ზრდის დავარდნის და შესაბამისად, მოტეხილობის რისკს [127].

კლინიკურმა კვლევებმა, რომლებშიც ჩართული იყო კალციუმის და D ვიტამინის დეფიციტის რისკის მქონე ხანდაზმული პაციენტები, გვიჩვენა, რომ ორივეს ჩანაცვლებას მოჰყვა მეორადი ჰიპერპარათირეოზის უკუგანვითარება, ძვლის რეზორბციის შემცირება, ძვლოვანი მასის გაზრდა, მოტეხილობების რიცხვის შემცირება, და დავარდნის სიხშირის შემცირებაც კი [92].

გენეტიკური ფაქტორები განაპირობებენ როგორც ძვლის პიკურ მასას, ისე ძვლის ასაკობრივ კარგვას. დადასტურებულია ტიპი 1 კოლაგენის, ესტროგენის რეცეპტორის, D ვიტამინის რეცეპტორის და ოსტეოპროტეგერინის მაკოდირებელი გენების როლი ამ პროცესში. ბოლო პერიოდში აღმოჩნდა, რომ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინის რეცეპტორთან შეკავშირებული ცილა-5-ის (LRP-5) გენის გამააქტივებელმა მუტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ძვლის სიმკვრივის გაზრდა, ხოლო LRP-5 გენის დელეცია იწვევს მძიმე ოსტეოპოროზულ სინდრომს [152].

გარდა სისტემური ჰორმონებისა, ძვლის ცვლაში მონაწილეობენ ლოკალური ფაქტორები ანუ ციტოკინები. ინსულინის მსგავს ზრდის ფაქტორს (IGF) და სიმსივნის ზრდის ფაქტორს (TGF- β) შეუძლია შეცვალოს ძვლის ფორმირება. IGF-1-ის ლოკალური პროდუქციის შეფერხება არის გლუკოკორტიკოიდებით გამოწვეული ოსტეოპოროზის მნიშვნელოვანი ფაქტორი [96].

პროსტაგლანდინი E2 (PGE2) არის ძვლის მიერ გამოთავსებული ძირითადი პროსტაგლანდინი, რომელიც ასტიმულირებს როგორც რეზორბციას, ისე ფორმირებას. ძვლის მინერალურ სიმკვრივეზე ასევე გავლენას ახდენენ ციტოკინები: IL-1, IL-6, TNF α და მათი რეცეპტორების პოლიმორფიზმი. ეპიდემიოლოგიური კვლევებით გამოვლინდა ძმს-ის მცირე ზრდა და მოტეხილობის რისკის შემცირება პაციენტებში, ვინც მკურნალობდნენ არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებებით [119].

NO გამოთავსდება ძვლის უჯრედების მიერ მექანიკური დატვირთვის საპასუხოდ. თუმცა, პროსტაგლანდინებისგან განსხვავებით, NO აინჰიბირებს ძვლის რეზორბციას, სავარაუდოდ OPG პროდუქციით [160].

ძვლის რემოდელირებაში მონაწილეობენ ასევე ძვლოვანი მორფოგენული ცილები (BMP), რომლებიც აინდუცირებენ ძვლის წარმოქმნას. BMP-ს რეცეპტორები აღმოჩენილია ოსტეობლასტების წინამორბედი უჯრედების ზედაპირზე [118].

ოსტეოპოროზის კლასიფიკაცია: ოსტეოპოროზის ყველაზე მეტად გავრცელებული კლასიფიკაცია დაავადების ეტიო-პათოგენეზს ეყრდნობა, რომლის მიხედვით განასხვავებენ პირველად და მეორად ოსტეოპოროზს [2-4]. ოსტეოპოროზის დაყოფა პირველად და მეორად ფორმებად პირობითია. მაგალითად, ადრეულ ასაკში განვითარებული ჰიპოგონადიზმი მიიჩნევა მეორადი ოსტეოპოროზის მიზეზად, ხოლო ბუნებრივი მენოპაუზა და მამაკაცებში ასაკთან ერთად სასქესო ჰორმონების დაქვეითება მიიჩნევა პირველადად. უფრო მეტიც, შესაძლოა შეგვხვდეს პირველადი და მეორადი ფაქტორების კომბინაცია [78]. პირველადი ოსტეოპოროზის ფორმებია:

- პოსტმენოპაუზური
- სენილური
- იუვენილური
- იდიოპათიური

მეორადი ოსტეოპოროზი შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვადასხვა დაავადებებსა და პათოლოგიურ მდგომარეობებთან ან განვითარდეს ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის მოქმედების შედეგად. მეორადი ოსტეოპოროზის მიზეზები ნაჩვენებია ცხრილში №1:

ცხრილი №1

მეორადი ოსტეოპოროზის მიზეზები

ენდოკრინული დარღვევები – ჰიპერპარათირეოზი, ჰიპერკორტიციზმი, ჰიპოგონადიზმი, თირეოტოქსიკოზი, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 და სხვ.
ნუტრიციული და გასტროინტესტინური დარღვევები – მალაბსორბცია, გასტრექტომია, პარენტერული კვება, პირველადი ბილიარული ციროზი და სხვ
თირკმლის დაავადებები – თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, მილაკოვანი აციდოზი და სხვ
სისხლმბადი სისტემის დარღვევები – ლეიკემიები და ლიმფომები, ნამგლისებრუჯრედოვანი ანემია, თალასემია და სხვ.
პრეპარატები – გლუკოკორტიკოიდები, ჰეპარინი, ვარფარინი, ანტიკონვულსანტები, მეტოტრექსატი, ლითიუმი, ალუმინის შემცველი ანტაციდები და სხვ
რევმატიული და აუტოიმუნური დაავადებები – მანკილოზებელი სპონდილიტი, წითელი მგლურა, რევმატოიდული ართრიტი
ჰიპოგონადური მდგომარეობები – ანორექსია ნევროზა, ჰიპერპროლაქტინემია, პანჰიპოპიტუიტარიზმი, ნაადრევი კლიმაქსი, ტერნერის და კლაინფელტერის სინდრომი და სხვ.
გენეტიკური დაავადებები, შემაერთებელქსოვილოვანი დაავადებები – ცისტური ფიბროზი, ელერს-დანლოსის დაავადება, გლიკოგენის დაგროვების დაავადებები, მარფანის სინდრომი, არასრული ოსტეოგენეზი და სხვ.
იმობილიზაცია

ოსტეოპოროზის რისკის ფაქტორები: ოსტეოპოროზის რისკის ფაქტორები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: პოტენციურად მოდიფიცირებადი და არამოდიფიცირებადი [167], რომლებიც წარმოდგენილია ცხრილში №2:

ოსტეოპოროზის რისკის ფაქტორები

არამოდფიცირებადი რისკის ფაქტორები	მოდფიცირებადი რისკის ფაქტორები
ასაკი – 50 წლის ზევით	D ვიტამინის დეფიციტი
მდედრობითი სქესი	ჭარბი ალკოჰოლი
მოტეხილობის ოჯახური ანამნეზი	თამბაქოს მოხმარება
ანამნეზში მოტეხილობის არსებობა	არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა
რასა/ეთნიკური წარმომავლობა	არასაკმარისი კალციუმის მიღება
ასთენიური აღნაგობა	პრეპარატები
ყველა ის დაავადება, რომელიც იწვევს მეორად ოსტეოპოროზს	

კლინიკური სურათი: ძვლის კარგვა ნელი და უმტკივნეულო პროცესია, ამიტომ როგორც წესი, ადამიანს სიმპტომები არ უვითარდება. ყველაზე ხშირად ოსტეოპოროზის პირველი კლინიკური გამოვლინება არის მოტეხილობა. ამის გამო ამ დაავადებას “ჩუმ ეპიდემიას” უწოდებენ [126,167]. სხვადასხვა ლოკალიზაციის მოტეხილობას განსხვავებული სიმპტომები ახლავს თან.

ოსტეოპოროზის ყველაზე ხშირი კლინიკური მანიფესტაციაა ხერხემლის კომპრესიული მოტეხილობები, რომლებიც ვითარდება სპონტანურად ან მინიმალური ტრავმის შედეგად [78]. ზოგიერთ შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ ერთი მალის კომპრესია, ხოლო სხვა შემთხვევებში ხდება რამდენიმე მალის კოლაფსი. ყველაზე ხშირია მოტეხილობები გულმკერდის მალეებში T6-ის ქვემოთ და წელის მალეებში. მალეების მოტეხილობის შემთხვევაში ხშირია წელის ტკივილი, რაც უმეტეს შემთხვევებში რადიოლოგიური გამოკვლევის მიზეზი ხდება. კომპრესიის მგრძობიარე მარკერია სიმალის შემცირება [133]. ვერტებრული მოტეხილობები ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. უსიმპტომო ვერტებრული მოტეხილობების დიაგნოსტიკა შესაძლებელია ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრის ლატერალური ვერტებრული მორფომეტრიით (DXA-LVA) ან რენტგენოგრაფიით [126,131]. მრავლობითი მოტეხილობები იწვევენ სერიოზულ დარღვევებს. კიფოზი და წელის ლორდოზის გაქრობა არის დეფორმაციები, რომლებიც ამწვავენ წელის ტკივილს. გულ-მკერდის დეფორმაცია იწვევს ფილტვების სასიცოცხლო მოცულობის შემცირებას. მუცლის ღრუს ორგანოების კომპრესია

დაკავშირებულია დისკომფორტთან. ბევრ პაციენტს აქვს ხერხემლის სხვა პათოლოგიებიც: სპონდილოლისთეზი, მალთაშორისი დისკების დაავადება და ოსტეოართრიტი. ოსტეოპოროზი თავისთავად იშვიათად იწვევს ნერვის ფესვების ან ზურგის ტვინის კომპრესიას. ხშირია ოსტეოართრიტი და ოსტეოპოროზი ერთსა და იმავე პაციენტში [78]. ვერტებრული მოტეხილობების 10%-ზე ნაკლები საჭიროებს პოსპიტალიზაციას, მაშინაც კი როდესაც იწვევს მნიშვნელოვან ტკივილს და სიცოცხლის ხარისხის გაუარესებას [126].

პროქსიმალური ბარძაყის მოტეხილობა არის ავადობისა და სიკვდილობის ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი ხანდაზმულებში. მოტეხილობების უმეტესობა ვითარდება ბარძაყის ყელის ან დიდი ციბრუტის მიდამოში და შესაძლოა დაკავშირებული იყოს მნიშვნელოვან ან მინიმალურ ტრავმასთან. მოტეხილობის რისკზე გავლენას ახდენს ფაქტორები, რომლებიც ზრდიან დაცემის რისკს [108]. მოტეხილობის სიხშირე მკვეთრად განსხვავდება სქესის მიხედვით, თანაფარდობა ქალი/მამაკაცი შეადგენს 4/5. მოტეხილობების 90% ვითარდება 50 წლის ასაკის ზევით. ბარძაყის მოტეხილობა ჩვეულებრივ მოითხოვს ქირურგიულ მკურნალობას, რაც დაკავშირებულია სერიოზულ ხარჯებთან. გარდა ამისა, ოპერაციისდროინდელი და ოპერაციისშემდგომი გართულებების გამო სიკვდილობა აღწევს 5-20%-ს. ბევრი ხანდაზმული ვერ უბრუნდება უწინდელ რეჟიმს და მოითხოვს განსაკუთრებულ მოვლას. მნიშვნელოვანია დიაგნოსტიკა და პრევენციის გეგმის შედგენა, რადგან მაღალია განმეორებითი მოტეხილობის განვითარების ალბათობა. სამწუხაროდ, ბარძაყის მოტეხილობის შემდეგ პაციენტთა უმეტესობას არ უტარდება დიაგნოსტიკური კვლევები და მკურნალობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ოსტეოპოროზის პროგრესი და სხვა მოტეხილობები [135].

დისტალური სხივის ძვლის მოტეხილობა (კოლსის მოტეხილობა), რომელიც ძირითადად ტრავმატული ძვლისგან შედგება, გამოწვეულია გაშლილ ხელზე დაცემით. ქალებში ასეთი მოტეხილობის სიხშირე იმატებს 40 წლის ასაკის შემდეგ და შესაძლოა დაკავშირებული იყოს პრემენოპაუზურ ძვლის კარგვასთან და გენეტიკურ ფაქტორებთან. კოლსის მოტეხილობები კარგად ხორცდება და იშვიათად იწვევს ხანგრძლივ ავადობას. კოლსის მოტეხილობის შემდეგ ქალებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ ოსტეოპოროზზე გამოკვლევა და მკურნალობა [78].

ნებისმიერი ლოკალიზაციის მოტეხილობა, გარდა სახის და თავის ქალას ძვლებისა, შესაძლოა უკავშირდებოდეს ოსტეოპოროზს. ძვლის სიმკვრივის

გამოკვლევა აუცილებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოტეხილობა ვითარდება მინიმალური ტრავმის შედეგად.

12. თირეოიდული ჰორმონების მოქმედება ძვალზე. მანიფესტირებული და სუბკლინიკური თირეოტიქსიკოზის, ჰიპოთირეოზის გავლენა ძვლოვან სისტემაზე

ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების დონე სისხლში რეგულირდება უარყოფითი უკუკავშირის მექანიზმით. თირეოტიროპული ჰორმონის რილიზინგ-ფაქტორი სინთეზირდება ჰიპოთალამუსში და არეგულირებს თირეოტიროპული ჰორმონის (TSH) სინთეზსა და სეკრეციას ჰიპოფიზის წინა წილიდან. TSH თავის მხრივ ასტიმულირებს ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულური უჯრედების ზრდას და მათ მიერ ჰორმონების სინთეზსა და გამოყოფას. თირეოიდული ჰორმონები მოქმედებენ თირეოიდული ჰორმონის რეცეპტორების (TR) გზით ჰიპოთალამუსსა და ჰიპოფიზზე და წყვეტენ თირეოლიბერინის და TSH-ის გამოყოფას. აღნიშნული უარყოფითი უკუკავშირის მექანიზმი უზრუნველყოფს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებისა და TSH-ის დონის მუდმივობას სისხლში [4,164].

ფარისებრი ჯირკვალი გამოყოფს პროჰორმონს – თიროქსინს (T4) და მცირე რაოდენობით ფიზიოლოგიურად აქტიურ ტრიიოდთირონინს (T3). მოციურკულირე T3-ის ძირითადი ნაწილი მიიღება T4-ის 5'-დეიოდინაზით ღვიძლსა და თირკმელებში ტიპი 1 დეიოდინაზას მიერ [4,21].

თირეოიდული ჰორმონები უჯრედებზე მოქმედებენ 3 ფუნქციური რეცეპტორის საშუალებით: TR α 1, TR β 1 და TR β 2, რომლებიც არეგულირებენ შესაბამისი გენების ტრანსკრიფციას. TR α 1 და TR β 1 ექსპრესირდებიან სხვადასხვა ქსოვილებში, მაგრამ მათი ფარდობითი კონცენტრაციები განსხვავებულია ზრდისა და ზრდასრულ პერიოდში [21]. TR β 2 ექსპრესია კი ხდება მხოლოდ ჰიპოთალამუსსა და ჰიპოფიზში და უზრუნველყოფს ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზ-ფარისებრი ჯირკვლის (ჰჰფჯ) სისტემის უარყოფითი უკუკავშირის განხორციელებას [20].

დადგენილია, რომ ჩონჩხში, TR α 1 და TR β 1 ექსპრესირდება საზრდელი ფირფიტების ქონდროციტებზე, ძვლის ტვინის სტრომულ უჯრედებსა და ძვლის წარმომქმნელ ოსტეობლასტებზე. დღემდე დადასტურებული არ არის მათი არსებობა ოსტეოკლასტებზე. საზრდელ ფირფიტაში T3 ასტიმულირებს ქონდროციტების დიფერენციაციას, რაც უზრუნველყოფს ენდოქონდრულ გაძვალებას და ხაზოვან ზრდას. T3 ასევე არეგულირებს ოსტეობლასტების

დიფერენციაციას და ფუნქციებს [122]. T3-ის გავლენა ხორციელდება როგორც პირდაპირ TRα1 რეცეპტორით, ისე სხვადასხვა რთული ციტოკინური და ზრდის ფაქტორების საშუალებით, როგორცაა მაგალითად ინდური ზახუნას ფაქტორი/პარათირეოიდული ჰორმონის მსგავსი პეპტიდის უკუკავშირი, ზრდის ჰორმონი/ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორი-1 და ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორი [138].

თირეოიდულ ჰორმონებსა და ძვალს შორის ურთიერთკავშირის გამოკვლევა გაართულა თტჰ-ის რეცეპტორების (TSHR) აღმოჩენამ ოსტეობლასტებსა და ოსტეოკლასტებზე [6]. ბოლო დროს გენმოდულირებულ თაგვებზე ჩატარებული ინტენსიური კვლევები მოწმობენ, რომ დარღვეული თირეოიდული ფუნქციის ძვლოვანი ეფექტები განპირობებულია პირველ რიგში ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების სიჭარბით ან ნაკლებობით, თუმცა არ არის გამორიცხული თტჰ-ის პირდაპირი ზეგავლენაც ძვლის რემოდელირებაზე [6,163].

კლინიკური კვლევები ადასტურებენ, რომ ეუთირეოიდული სტატუსი მოზრდილებში აუცილებელია ძვლის ნორმალური ცვლის, მინერალიზაციის და ძვლის ოპტიმალური სიმტკიცის შენარჩუნებისთვის [103,106]. რაც შეეხება ზრდის პერიოდს, თირეოიდული ჰორმონები აუცილებელია ძვლის განვითარებისათვის, ხოლო ეუთირეოიდული მდგომარეობა გადამწყვეტია, რათა მოხდეს ნორმალური ზრდა და ძვლის პიკური მასის მიღწევა [20].

თირეოტიქსიკოზი წარმოადგენს ოსტეოპოროზის მნიშვნელოვან რისკის ფაქტორს როგორც პრე- ისე პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებსა და მამაკაცებში [106]. ოსტეოპოროზი თირეოტიქსიკოზის დროს განპირობებულია ძვლის ცვლის ინტენსივობის გაზრდით, არაპროპორციულად ჩქარდება რემოდელირების ორივე ფაზა, რის შედეგადაც რემოდელირების თითოეულ ციკლზე ძვლოვანი მასის დაახლოებით 10% იკარგება [103]. შესაბამისად, იმატებს ძვლის რეზორბციისა და ფორმირების მარკერების დონე სისხლში. მათი ცვლილების ხარისხი დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე. მაგ, მანიფესტირებული თტ-ის მქონე პაციენტების გამოკვლევისას აღინიშნება სარწმუნო დადებითი კორელაცია შარდში ძვლის რეზორბციის მარკერებსა და თავისუფალ T3 და T4-ის შემცველობას შორის [1].

თირეოტიქსიკოზი იწვევს კალციუმის უარყოფით ბალანსს. იზრდება კალციუმის ექსკრეცია და მცირდება კალციუმის და ფოსფორის აბსორბცია წვრილ ნაწლავში. პაციენტთა დაახლოებით 5%-ს აღინიშნება მნიშვნელოვანი ჰიპერკალციემია, ხოლო 20%-ს – ზომიერი ჰიპერკალციემია [103].

ძვლის დაჩქარებულ მეტაბოლიზმს თირეოტიკოსის დროს მივყავართ ძვლის სიმკვრივის დაქვეითების და მოტეხილობის რისკის გაზრდისკენ. სხვადასხვა გამოკვლევების მონაცემების მიხედვით, მანიფესტირებული თტ-ის დროს ძმს-ის დაქვეითების ხარისხი განსხვავებულია მაგრამ საშუალოდ შეადგენს 12-15% ხერხემლის წელის სეგმენტში, 13-17% ბარძაყის პროქსიმალურ ნაწილში, 15-20% სხივის ძვალში და 25%-ზე მეტს ქუსლის ძვალში [62]. 20 კვლევის მონაცემების მეტაანალიზის შედეგად, რომელიც მოიცავდა 902 პაციენტს კლინიკური თტ-ით, გამოვლინდა ძმს-ს სარწმუნო დაქვეითება არანამკურნალე პაციენტებში, ხოლო მკურნალობის ფონზე აღინიშნება ძმს-ს სარწმუნო მატება ნორმალური დონის მიღწევით [154]. მოტეხილობის რისკზე თტ-ის ზეგავლენის ანალიზის დროს (62 830 პაციენტზე) გამოვლინდა ბარძაყის ყელის მოტეხილობის რისკის სარწმუნო მატება პაციენტებში თტ-ის ანამნეზით საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. მოტეხილობის რისკი სარწმუნოდ იზრდებოდა თტ-ის ხანგრძლივი ანამნეზის შემთხვევაში [154].

სუბკლინიკური თტ განისაზღვრება, როგორც თტპ-ის დონის დაქვეითება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ნორმალური შემცველობის ფონზე [4]. სუბკლინიკური თტ-ის გავრცელება ეპიდემიოლოგიური კვლევების მიხედვით, რომლებიც ჩატარდა აშშ-ში (17 353 ადამიანზე) შეადგენს 3,2% [65]. განასხვავებენ ენდოგენურ და ეგზოგენურ სუბკლინიკურ თირეოტიკოსს. ეგზოგენური თირეოტიკოსი ყველაზე ხშირია ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონის სინთეზური ანალოგის სუპრესიული დოზებით მიღების დროს ფარისებრი ჯირკვლის მაღალდიფერენცირებული კიბოს ან კეთილთვისებიანი კვანძოვანი წარმონაქმნის მკურნალობის პროცესში [5].

ჩატარდა კვლევები ენდოგენური და ეგზოგენური თტ-ის ძვლის მინერალური სიმკვრივესა და მოტეხილობის რისკზე ზეგავლენის შესწავლის მიზნით. აღმოჩნდა, რომ სუბკლინიკური თირეოტიკოსის დროს ქვეითდება ძვლის მინერალური სიმკვრივე და იზრდება მოტეხილობის რისკი. ფართო კვლევის შედეგების ანალიზისას, რომელიც მიმართული იყო მოტეხილობების შესწავლისკენ და მოიცავდა 15 316 პოსტმენოპაუზური ასაკის ქალს (55-80 წელი), გამოვლინდა, რომ პაციენტებში დაბალი თტპ-ით ($<0,1$ მსე/ლ), ასევე თტპ-ის მოსაზღვრე მნიშვნელობით ($<0,5$ მსე/ლ), ძმს ბარძაყის ყელში და მთელს სხეულში სარწმუნოდ დაბალი იყო, ვიდრე ნორმალური თტპ-ის მქონე პაციენტებში, ხოლო ხერხემლის მალეების მოტეხილობის სიხშირე რენტგენოგრაფიული მონაცემების მიხედვით – სარწმუნოდ მაღალი [67].

ბოლო დროს გამოქვეყნებული ლიტერატურის ანალიზი მოიცავდა 1990-2001 წლებში ჩატარებულ 63 კვლევას, რომლებიც ეძღვნებოდა თიროქსინით მკურნალობის გავლენას ძმს-ზე [129]. ანალიზის საფუძველზე ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ თიროქსინის გავლენა ძმს-ზე არასაკმარისად არის შესწავლილი. სქესისა და მენოპაუზური სტატუსის გათვალისწინებით მონაცემების დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ სუპრესიული მკურნალობა არ მოქმედებდა ძმს-ზე მამაკაცებსა და პრემენოპაუზური ასაკის ქალებში. ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემებია მიღებული პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებთან დაკავშირებით: ბევრმა მკვლევარმა ვერ დაადასტურა სუპრესიული მკურნალობის გავლენა ვერც ხერხემლის წელის სეგმენტზე, ვერც პროქსიმალურ და დისტალურ კორტიკალურ ძვალზე. ზოგიერთმა ავტორმა გამოავლინა ძმს დაქვეითება მხოლოდ ბარძაყის პროქსიმალურ ნაწილში სხივის ძვლის ძმს-ის ცვლილების გარეშე [69, 70, 74]. ამგვარად, მიუხედავად მრავალრიცხოვანი კვლევებისა, რთულია საერთო დასკვნის გაკეთება თირეოიდული ჰორმონების სუპრესიული მკურნალობის ზეგავლენაზე პოსტმენოპაუზური ასაკის ქალების ძმს-ზე.

არსებობს მონაცემები, რომ რადიოაქტიური იოდით მკურნალობა ზრდის მოტეხილობის რისკს აუტოიმუნური თტ-ის მქონე პაციენტებში [54, 155]. რადიოაქტიური იოდით მკურნალობას თან ახლავს antiTSHr ანტისხეულების დონის მნიშვნელოვანი მატება, მაშინ როცა სუბტოტალური და ტოტალური თირეოიდექტომიის შემდეგ, 1 წლის განმავლობაში ანტისხეულების დონე უცვლელია, ხოლო შემდეგ აქვს დაკლების ტენდენცია. დადასტურებულია, რომ ანტისხეულების დონე არაერთგვაროვნად იცვლება კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის პროცესშიც [86, 87], თუმცა ამ ეტაპზე ლიტერატურაში არ არის მონაცემები, რომელიც შეადარებდა მკურნალობის ამ ორ მეთოდს ძმს-ზე ზემოქმედების თვალსაზრისით. სწორედ ზემოთაღნიშნული საკითხი წარმოადგენს ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს.

ჰიპოთირეოზი არის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული კლინიკური სინდრომი, რომელსაც იწვევს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ხანგრძლივი უკმარისობა ორგანიზმში ან მათი ბიოლოგიური ეფექტის დაქვეითება ქსოვილების დონეზე. დაავადების ეტიოპათოგენეზური კლასიფიკაციით, განასხვავებენ პირველად (თირეოგენულ), ცენტრალურ (ჰიპოთალამო-ჰიპოფიზარულ) და პერიფერიულ (ქსოვილოვან) ფორმებს. შემთხვევათა 99%-ში გვხვდება პირველადი ჰიპოთირეოზი, რომელსაც თავის

მხრივ ყველაზე ხშირად იწვევს ქრონიკული აუტომუნური თირეოიდიტი (ჰაშიმოტოს დაავადება). გარდა ამისა, პირველადი ჰიპოთირეოზის განვითარება მოჰყვება ფარისებრი ჯირკვლის სუბტოტალურ და ტოტალურ რეზექციას სხვადასხვა დაავადებების, კერძოდ კვანძოვანი/მრავალკვანძოვანი ჩიყვის, ტოქსიური ადენომის, დიფუზურ-ტოქსიური ჩიყვის, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მკურნალობის შედეგად. ჰიპოთირეოზი გვხვდება პაციენტთა თითქმის 100%-ში რადიაქტიური იოდით მკურნალობის შემდეგ. პირველადი ჰიპოთირეოზი შესაძლოა განვითარდეს ფარისებრი ჯირკვლის განვითარების ანომალიების და თირეოსტატიული პრეპარატების მიღების შედეგად [4, 36, 78]. დაავადების კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით განარჩევენ პირველადი ჰიპოთირეოზის მანიფესტირებულ და სუბკლინიკურ ფორმებს. პირველ შემთხვევაში აღინიშნება თირეოტროპული ჰორმონის კონცენტრაციის მომატება სისხლში თიროქსინის დონის შემცირების ფონზე, ამავე დროს სახეზეა დაავადების კლინიკური ნიშნები. სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის შემთხვევაში კი აღინიშნება თირეოტროპული ჰორმონის კონცენტრაციის გაზრდა თიროქსინის ნორმალური შემცველობის ფონზე, დაავადების კლინიკური ნიშნების გარეშე. მანიფესტირებული პირველადი ჰიპოთირეოზის გავრცელება პოპულაციაში მერყეობს 0.1 – 2 %-ის ფარგლებში სხვადასხვა კვლევების მონაცემებით, სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის გავრცელება კი აღწევს 15%-ს ხანდაზმულ ქალებსა და 2-3% მამაკაცებს შორის. ყოველწლიურად სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის შემთხვევათა 5% გადადის მანიფესტირებულ ფორმაში [4, 36, 78].

ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების დეფიციტის დროს ცვლილებებს განიცდის ყველა ორგანოთა სისტემა, მათ შორის – ძვალ-სახსროვანი. კლინიკური კვლევები ადასტურებენ, რომ ეუთირეოიდული სტატუსი მოზრდილებში აუცილებელია ძვლის ნორმალური ცვლის, მინერალიზაციის და ოპტიმალური სიმტკიცის შენარჩუნებისთვის. რაც შეეხება ზრდის პერიოდს, თირეოიდული ჰორმონები და ეუთირეოიდული მდგომარეობა გადამწყვეტია ნორმალური ზრდისა და ძვლის პიკური მასის მისაღწევად [13, 163, 164].

ჰიპოთირეოზის დროს ძვლის ცვლა შენელებულია, ფერხდება როგორც რეზორბცია, ისე მისი წარმოქმნა, ხოლო ფორმირების ფაზის გახანგრძლივებას მიყვავართ გაძლიერებულ მინერალიზაციამდე. ფართო პოპულაციურმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ჰიპოთირეოზი იწვევს მოტეხილობის რისკის გაზრდას, დიაგნოსტირებიდან 10 წლის განმავლობაში, თუმცა რთულია ამ მოვლენის ასსნა [156, 163]. ჰიპოთირეოზის დროს ინიშნება ჩანაცვლებითი მკურნალობა

ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონის, თიროქსინის სინთეზური ანალოგით, ლეგოთიროქსინით. ლიტერატურაში გვხვდება ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები ჩანაცვლებითი თერაპიის ზეგავლენის შესახებ ძმს-სა და მოტეხილობის რისკზე [30, 60, 82, 97, 121, 124]. მიუხედავად ჩატარებული მრავალრიცხოვანი კვლევებისა, ნაკლებად არის შესწავლილი ძვლის მინერალური სიმკვრივის ცვლილებები პირველადი ჰიპოთირეოზის დროს სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიისა და მენოპაუზური სტატუსის პაციენტებში, ჩანაცვლებითი თერაპიის ფონზე, დაავადების ანამნეზის ხანგრძლივობის და ჰიპოთირეოზის კომპენსაციის ხარისხის გათვალისწინებით.

13. მოტეხილობის ათწლიანი რისკის განსაზღვრის ალგორითმი და ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები

მოტეხილობის რისკს, გარდა ძმს-ისა, განსაზღვრავს სხვა ფაქტორებიც. ბოლო ათწლეულის დიდი მიღწევაა მათი დაზუსტება და მოტეხილობის ათწლიანი რისკის განსაზღვრის ალგორითმის (FRAX) შემუშავება, რაც შესაძლებელი გახდა ფართო პოპულაციური პროსპექტული კვლევების საფუძველზე [126, 168]. FRAX-ის ალგორითმში გათვალისწინებულია ბარდაყის ძვლის მინერალური სიმკვრივის მნიშვნელობა და შემდეგი კლინიკური რისკის ფაქტორები:

- ასაკი
- სქესი
- სხეულის მასის ინდექსი (სმი)
- მოტეხილობა 45-50 წელზე უფროს ასაკში
- ბარდაყის მოტეხილობა მშობელს
- ამუამად მწვეველობა
- 2 ერთეულზე მეტი ალკოჰოლი დღეში
- გლუკოკორტიკოიდების გამოყენება
- რემატოიდული ართრიტი
- მეორადი ოსტეოპოროზის სხვა მიზეზები, როგორცაა:

-არანამკურნალები ჰიპოგონადიზმი მამაკაცებსა და ქალებში, ნერვული ანორექსია, ქიმიოთერაპია ძუძუს და პროსტატის კიბოს გამო, ჰიპოპიტუიტარიზმი -ნაწლავების ანთებითი დაავადება, ხანგრძლივი იმობილიზაცია

-ორგანოს ტრანსპლანტაცია

-ტიპი 1 დიაბეტი და ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები (მაგალითად, არანამკურნალები ჰიპერთირეოზი და ჰიპოთირეოზის არაადექვატური ჩანაცვლებითი თერაპია)

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ FRAX შეიმუშავა იმისათვის, რომ ექიმებმა შეძლონ ინდივიდუალური პაციენტის ბარძაყის და სხვა მნიშვნელოვანი მოტეხილობების 10-წლიანი რისკის განსაზღვრა ყოველდღიურ პრაქტიკაში, ზემოთაღნიშნულ კლინიკურ რისკ-ფაქტორებზე დაყრდნობით, ბარძაყის ყელის ძმს-ს განსაზღვრით ან მის გარეშე. FRAX არ არის დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტი, არამედ საწყისი ტექნოლოგია, რათა დადგინდეს პაციენტის უფრო ღრმა კვლევის აუცილებლობა [126].

FRAX შესულია გაიდლაინებში, როგორც მოტეხილობის მაღალი რისკის მქონე ქალების გამოვლენის მეთოდი, რომელიც ასევე გვეხმარება მკურნალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გაერთიანებული სამეფოს ოსტეოპოროზის შემსწავლელი საზოგადოების მიერ რეკომენდებულია FRAX-ის გამოყენება პოსტმენოპაუზური ასაკის ყველა ქალში. მაღალი რისკის გამოვლენის შემთხვევაში, პაციენტები ძმს-ის განსაზღვრის გარეშეც მიიჩნევიან მედიკამენტოზური მკურნალობის კანდიდატებად. საშუალო რისკის მქონე ქალებში რეკომენდებულია DXA-ით გამოკვლევა და ოსტეოპოროზის ან ოსტეოპენიის გამოვლენის შემთხვევაში, თუ მოტეხილობის 10-წლიანი რისკი შეადგენს მინიმუმ 3% ბარძაყში და/ან 20% სხვა მიდამოებში, ინიშნება მედიკამენტოზური მკურნალობა [72, 150, 169].

მყარი სამეცნიერო საფუძვლისა და კლინიკური მიმზიდველობის მიუხედავად, FRAX-ს აქვს სუსტი მხარეებიც, რადგან მასში არ არის გათვალისწინებული:

- ზოგიერთი ფაქტორის (მაგალითად გლუკოკორტიკოიდების) “ღოზა-ეფექტი”
- დავარდნის რისკი
- ვიტამინ D-ს დეფიციტი
- ძვლის მეტაბოლიზმის ბიოქიმიური მარკერები
- ფრაქსი გამოიყენება მხოლოდ არანამკურნალებ პაციენტებში
- მხედველობაში მიიღება მხოლოდ ბარძაყის ყელის ძმს.

ასე რომ, FRAX-ის პროგნოზული ღირებულება შედარებით ნაკლებია დავარდნის მაღალი რისკის მქონე პაციენტებში [126].

დადგენილია, რომ ძვლის სიმკვრივის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი არის მისი მინერალური სიმკვრივე. სწორედ ამიტომ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა ძვლის სიმკვრივის განსაზღვრის მეთოდები. დღესდღეობით, ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკისთვის გამოიყენება ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრია (DXA) და რადენობრივი კომპიუტერული ტომოგრაფია. მოტეხილობის რისკის შეფასებაში გვეხმარება ასევე რადენობრივი ულტრაბგერითი დენსიტომეტრია. დიაგნოსტიკის სხვა მეთოდებმა, როგორცაა სტანდარტული რადიოგრაფია, ერთმაგ ენერგეტიკული და ორმაგენერგეტიკული ფოტონური აბსორბციომეტრია, ერთმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრია, აქტუალობა დაკარგეს [28].

ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრია

ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტია ორმაგენერგეტიკული რენტგენული აბსორბციომეტრია (DXA). DXA-ის უნივერსალურობა მდგომარეობს იმაში, რომ საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ძვლის მინერალური შემადგენლობა როგორც მთელ სხეულში, ისე მის ცალკეულ რეგიონებში, სადაც ყველაზე ხშირად ვითარდება ოსტეოპოროზი. DXA-ს გამოსახულება არის ორგანზომილებიანი, ამიტომ იზომება ძვლის მინერალური სიმკვრივე ფართობის (გ/სმ²) და არა მოცულობის (გ/სმ³) ერთეულზე. ფართობის ერთეულზე გამოთვლილი სიმკვრივე განაპირობებს ძვლის სიმკვრივის დაახლოებით 2/3-ს, რაც დადგენილია მაღლის სხეულის და პროქსიმალური ბარძაყის ძვლის in vitro კვლევით.

DXA-აბსორბციომეტრებში ენერჯის წყაროა რენტგენის სხივი. ამასთან, რენტგენის მიღი ისეა მოწყობილი, რომ წარმოქმნის ორ რადიკალურად განსხვავებულ ფოტოელექტრულ პიკს, რაც საჭიროა იმისთვის, რომ გამოცალკევდეს ძვლისა და რბილი ქსოვილების გამოსახულება. ჩონჩხის თითქმის ყველა ნაწილი შეიძლება გამოვიკვლიოთ DXA-ით. ხერხემლის გამოკვლევა ხდება როგორც წინა-უკანა (PA), ისე ლატერალურ პროექციებში. ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკა ხდება წინა-უკანა პოზიციაში გამოკვლევით. ხოლო გვერდით პროექციაში წელის მაღლების გამოკვლევით შეგვიძლია გამოვაგლინოთ მაღლების სხეულის დეფორმაცია, მოტეხილობა, დისტროფიული

კალციფიკაცია, რომლებიც თავისთავად მნიშვნელოვანი ზეგავლენას ახდენენ PA პროექციაში გაზომილ სიმკვრივეზე. ხერხემლის გვერდით პროექციაში შესაძლებელია T8-L4 მალეების გამოსახულებების მიღება. ეს პროცედურა დაკავშირებულია ბევრად ნაკლებ სხივურ დატვირთვასთან, ვიდრე კონვენციური რადიოგრაფია. აღნიშნული მეთოდის მგრძობელობა და სპეციფიურობა აღწევს 90%-ს მალის მეორე და მესამე ხარისხის მოტეხილობის დადგენაში.

DXA-ით შესაძლებელია მთელს სხეულში ძვლის, ცხიმის და კუნთოვანი ქსოვილის შემცველობის განსაზღვრა.

ძმს კორელირებს ძვლის სიმტკიცესთან და წარმოდგენას იძლევა მოტეხილობის რისკზე. მოტეხილობის რისკი განუხრელად იზრდება ძმს-ის დაქვეითებასთან ერთად. მიუხედავად სხვადასხვა საკვლევი მიდამოებისა, პროქსიმალური ბარძაყის სიმკვრივე ყველაზე მჭიდროდ კორელირებს მოტეხილობის რისკთან. DXA ითვლის T-ინდექსს, რომელიც არის სტანდარტული გადახრა (SD) ამავე სქესის ახალგაზრდა, ჯანმრთელი ადამიანების ძვლის პიკური მასიდან. გარდა ამისა, DXA ითვლის Z-ინდექსს, რომელიც არის სტანდარტული გადახრა ამავე ასაკის და სქესის რეფერენსული პოპულაციის მონაცემებიდან. რეფერენსული ბაზა შედგენილია შეერთებული შტატების ჯანმრთელობისა და კვების III ეროვნული კვლევის (NHANES III) მონაცემების გამოყენებით. ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკისათვის აუცილებელია ძმს-ის განსაზღვრა. დიაგნოსტიკა ეყრდნობა T-ინდექსს ანუ T-მაჩვენებელს და ჯანმო-ს კრიტერიუმებით გამოიყოფა ძმს-ის შემდეგი კატეგორიები:

1. ნორმალური სიმკვრივე: T-მაჩვენებელი > -1 SD
2. დაბალი ძვლოვანი მასა (ოსტეოპენია): T-მაჩვენებელი < -1 და $> -2,5$ SD
3. ოსტეოპოროზი: T-მაჩვენებელი $\leq -2,5$ SD. გამოხატული ოსტეოპოროზი: T-მაჩვენებელი $\leq 2,5$ SD და ერთი ან ორი ოსტეოპოროზული მოტეხილობა [166, 169].

ოსტეოპოროზის ეროვნული ფონდის რეკომენდაციით [169], ოსტეოპენიისა და ოსტეოპოროზის სადიაგნოსტიკოდ ჯანმო-ს კრიტერიუმების გამოყენება შესაძლებელია 50 წელზე უფროსი ასაკის ქალებსა და მამაკაცებში, თუ ძმს-ის გამოკვლევა ხდება ცენტრალური DXA-ს მეთოდით წელის მალეების ან პროქსიმალური ბარძაყის მიდამოში. პრემენოპაუზური ასაკის ქალებში, 50 წელზე უმცროს მამაკაცებსა და ბავშვებში არ შეიძლება ჯანმო-ს სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებით სარგებლობა. კლინიკური დენსიტომეტრიის საერთაშორისო საზოგადოება რეკომენდაციას უწევს აღნიშნულ ჯგუფებში Z-

კრიტერიუმის გამოყენებას, Z-ინდექსი $< -2,0$ უნდა ინტერპრეტირდეს, როგორც “მოსალოდნელზე დაბალი ქრონოლოგიური ასაკისთვის”, თუმცა ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკა არ უნდა ეყარებოდეს მხოლოდ დენსიტომეტრიულ კრიტერიუმებს.

დენსიტომეტრიის სხვა მეთოდებითაც შესაძლებელია მოტეხილობის რისკის განსაზღვრა, თუმცა მათი გამოთვლილი T-ინდექსი არ მიიჩნევა DXA-ს მონაცემის ექვივალენტურად და მისი ინტერპრეტირება შეუძლებელია ჯანმო-ს კრიტერიუმების მიხედვით [31, 72, 167].

DXA-ის გამოყენებისას აუცილებელია გვახსოვდეს რამდენიმე შეზღუდვა. 60 წლის ასაკის ზევით ხშირია ოსტეოართროზი და ოსტეოართრიტი ბარძაყის და წელის მიდამოში, რაც ზრდის მიღებულ ძმს-ს მონაცემებს, თუმცა არ განაპირობებს ძვლის სიმტკიცის მატებას.

pDXA არის დიაგნოსტიკის მეთოდი, რომელიც ზომავს ძვლის სიმკვრივეს ფართობის ერთეულზე წინამხრის, თითის და ქუსლის ძვლებში. მიღებული მონაცემებით შესაძლებელია ვერტებრული და სხვა მოტეხილობების რისკის განსაზღვრა პოსტმენოპაუზური ასაკის ქალებში. არასაკმარისად არის შესწავლილი pDXA-ს ღირებულება მამაკაცებში ოსტეოპოროზული მოტეხილობის პრედიქციასთან მიმართებაში. გარდა ამისა, აღნიშნული მეთოდი არ იძლევა მკურნალობის შედეგებზე მონიტორინგის საშუალებას [169].

რაოდენობრივი კომპიუტერული ტომოგრაფია

